შეტყობინება
ა(ა)იპ ,,ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის- ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის" (ს/ნ 404574475) წევრთა საერთო კრების მოწვევის თაობაზე

ქ. თბილისი 03 აპრილი 2026 წელი

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 15 აპრილს 12:00 საათზე ჩატარდება ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ,,ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის'' (შემდგომში - ,,ასოციაციის") საერთო კრება წინასწარი გამოკითხვის და დისტანციური ფორმით (შემდგომში -კომბინირებული (შერეული) ფორმით.

ასოციაციის წევრთა საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ipoa.ge შეტყობინების განთავსების და ასოციაციის წევრებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების ტელეფონზე და/ან ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით.

ასოციაციის წევრთა საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვს ასოციაციის ყველა წევრს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში, როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

საერთო კრების ჩატარების წესი:
საერთო კრება ჩატარდება წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ დღესა და დროს. წევრთა საერთო კრების სხდომაზე ასოციაციის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კრების თავმჯდომარეს და მდივანს, რომლებიც სხდომის დასრულების შემდეგ ხელს აწერენ საერთო კრების სხდომის ოქმს. ასოციაცია წევრების საერთო კრებაზე დასწრებას და/ან ხმის უფლებას უზრუნველყოფს გამოკითხვის ფორმით და დისტანციურად, კერძოდ ელექტრონული კითხვარის ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსების და ელ-პლატფორმის (ზუმის) საშუალებით.

ასოციაციის საერთო კრება უფლებამოსილია და კვორუმი შემდგარია თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ან მათ წარმომადგენელთა 1/3 (ერთი მესამედი).

საერთო კრების ჩატარების ფორმა:
ასოციაციის წევრთა საერთო კრება ჩატარდება კომბინირებული (შერეული) ფორმით, რაც გულისხმობს საერთო კრების რამდენიმე ფორმით ერთდროულად ჩატარების გაერთიანებას. კერძოდ, დაუსწრებელი კენჭისყრით (წინასწარ გამოკითხვის ფორმა) ელექტრონული კითხვარის ასოციაციის ვებგვერდზე განთავსების გზით და ასევე ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (დისტანციური ფორმა) ელ-პლატფორმის (ზუმის) საშუალებით.

საერთო კრებაზე ხმის მიცემის წესი:
საერთო კრებაზე ხმის მიცემა განხორციელდება კენჭისყრით. ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე დისტანციური ფორმით დამსწრე ყველა წევრი, უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს ან უარყოს დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხს. ხმის მიცემა ასევე ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, წევრებისთვის ელექტრონულად გაგზავნილი ბმულის მეშვეობით.

საერთო კრების დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ,,ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის საერთო კრების სხდომის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა;
2. ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ,,ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციისსამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
3. აუდიტორის დანიშვნის შესახებ.
4. ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მიერ სესხის აღების, სესხის გაცემის, თავდებობისა და უზრუნველყოფის ზღვრული ოდენობების დადგენის შესახებ;
5. ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მიერ უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის თაობაზე ღირებულების ზღვრული ოდენობების დადგენის შესახებ;

ასოციაციის საერთო კრების შესახებ მომზადდება საერთო კრების ოქმი, რომელშიც აისახება:

- ინფორმაცია კენჭისყრაში მონაწილე პირების რაოდენობის შესახებ;
- კენჭისყრის შედეგები, დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით:
- მონაცემები იმ პირების შესახებ, რომლებმაც ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს;